ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N13

31.05.2018

15:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

ოთახი 2-01

მიმდინარე წლის 31 მაისს, 15:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი) და დავით რურუა (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით უჯმაჯურიძე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სამდივნოს, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" აპარატის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.
სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივის *,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს"* განხილვა **(მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე);
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივის განხილვა *მუნიციპალური სპორტული ბაზების შექმნის* თაობაზე **(მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე);
3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში შემოსული განცხადების *(10/031814830-03, 28.05.2018)* განხილვა **(მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე);

4. **მიმდინარე საკითხები (მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე);

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს :

მომხსენებელმა კომისიას გააცნო ინფორმაცია, ინიციატივის *,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს"* **შესახებ.**

გიორგი ჩაკვეტაძე - მაშტაბური კამპანია რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას ეხება, **ჩატარდება თბილისის მუნიციპალიტეტის** ოცდახუთივე მაჟორიტარულ ოლქში და მოიცავს ცენტრალურ საჯარო სკოლებს, კამპანიის მიზანია სხვადასხვა აქტივობების განხორციელების გზით, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობა. კამპანიის ფარგლებში საკრებულოს წარმომადგენლები, სპორტსმენებთან ერთად სკოლებში მოსწავლეებს გააცნობენ მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ სპორტულ აქტივობებს, რომელშიც ჩართვის შესაძლებლობა ექნებათ თავიანთი ინტერესების შესაბამისად. გარდა ამისა, ისაუბრებენ ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სპორტიდან მიღებულ სარგებელზე, ხოლო წარმატებული სპორტსმენები გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებასა და მიღწევებს.

აღნიშნული ინიციატივის თაობაზე ეცნობება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, შესაბამისი საჯარო სკოლის ინფორმირებულობისთვის, ასევე ეთხოვებათ ფედერაციებს დახმარება, რათა სპორტსმენები აქტიურად ჩაერთონ კამპანიაში. კამპანიის დაწყება იგეგმება საბურთალოს ოლქიდან, ვინაიდან ინიციატივა ბატონ ავთანდილ ცინცაძეს ეკუთვნის.

კამპანია გავრცელდება ,,ახალგაზრდული ფორუმი 2018"-ის ფარგლებში-სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში.

გადაწყვიტეს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ მოიწონა ინიციატივა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, შალვა ოგბაიძე, დავით რურუა, ავთანდილ ცინცაძე წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)) ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით მაშტაბური კამპანიის *,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს"* დაწყების თაობაზე.

მომხსენებელმა კომისიას ასევე წარუდგინა ინიციატივა *მუნიციპალური სპორტული ბაზების შექმნის* თაობაზე.

გიორგი ჩაკვეტაძე-მუნიციპალური სპორტული ბაზების შექმნა პირველ ეტაპზე გულისხმობს მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო პირების სპორტული ინტერესების აღრიცხვას, მოცემული ბაზა როგორც სტატისტიკისთვის ასევე სპორტული კლუბების შექმნის მიზნით იქნება სასარგებლო, ხოლო შემდეგი ეტაპისთვის შესაძლებელი იქნება სხვადასხვა კორპორატიული შეთავაზებების დაგეგმვა, ერთგვარი შუამავლის როლის აღებით ხელი შეეწყობათ დაინტერესებულ მოყვარულ სპორტსმენებს დაკავდნენ სხვადასხვა სპორტული აქტივობებით. ეს ინიციატივაც შესაძლებელია

გავრცელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში სხვადასხვა მუნიციპალიტეტებშიც.

გადაწყვიტეს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ მოიწინა ინიციატივა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, შალვა ოგბაიძე, დავით რურუა, ავთანდილ ცინცაძე წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)) *მუნიციპალური სპორტული გაზების შექმნის* თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო განცხადება *(10/031814830-03, 28.05.2018)*, რომელიც ეხება ქალთა ინტეგრირებული ტურნირის მხარდაჭერას. ტურნირის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, ქალთა (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, შშმ და სსსმ ბავშვთა მშობლებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წევრთა) სტიმულირება, მათში თვითრწმენის გაძლიერება და აქტივობის ამაღლება. ტურნირი ჩატარდება ბოულინგში, ბილიარდსა და მაგიდის ჩოგბურთში.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ აღნიშნული საკითხი ცნობად მიიღო და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალთა ინტეგრირებული ტურნირი-2018-ის მხარდასაჭერად, საკრებულოს აპარატის თანამშრომლებით დაკომპლექტებული გუნდმა მიიღოს მონაწილეობა ღონისძიებაში.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიას, დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა მულტიფუნქციური სპორტული ობიექტების მშენებლობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ჩაკვეტაძე